



ლაგოდების მუნიციპალიტეტი

ქ. ლაგოდებში ზაქათლის ქუჩის N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 სკოლა)

სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV - 45261910

2017 წელი 9 იანვარი

ქ. ლაგოდები

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----	3
2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:-----	4
3. სხვა მოთხოვნები -----	4
4. დამატებითი ინფორმაცია -----	6
5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ -----	7
6. დანართი N1, პრეტენდენტის რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და ვადა	12
7. დანართი N2, ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ -----	13
8. დანართი №3, ფასების ცხრილი -----	14

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტი: ქ. ლაგოდეხში ზაქათლის ქუჩის N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 სკოლა, ს/კ 54.01.56.222) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ტექნიკური პირობები: ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვის ფორმებში.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 37898 (ოცდა ოცდა ოთხი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

შენიშვნა: სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში მწვანედ მონიშნული სამშენებლო მასალების განფასებას არ ახდენს პრეტენდენტი. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას აღნიშნული მასალები გადაეცემა უსასყიდლოდ სამუშაოების შესრულების პროცესში.

2.1 სამუშაოს შესრულების ვადები:

2.1.1 ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

2.1.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში "მიმწოდებელს" დაეკისრება საჯარიმო სანქციის სახით "შემსყიდველის" სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ დღეზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

2.1.3 საჯარიმო სანქციების გადახდა /გარდა ხელშეკრულების სრულად შეწყვეტისა/ არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2.2 სამუშაოს ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

2.2.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

გ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე.

2.2.2 ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება/დამთავრება შეთანხმებული უნდა იყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფთან.

2.2.3 საქმიანობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

2.3 გამოცდილება

2.3.1 პრეტენდენტს 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე უნდა გააჩნდეს მინიმუმ 180 000(ას ოთხმოცი ათასი) ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის სირთულის და შინაარსის (შენობის სახურავის გადახურვის ან/და შენობის სახურავის რეაბილიტაციის) სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რის დასადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, ხარჯთაღრიცხვები ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტს. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2 შესაბამისად.

2.3.2. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის/დამკვეთის მიერ გაცემული რეკომენდაციები

2.3.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმატებით განხორციელების შესახებ, რომლის

შესრულებაც შეადგენს არანაკლებ 50 000(ორმოცდაათი ათასი) ლარს. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული უნდა იყოს 2016 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

3. სხვა მოთხოვნები

3.1 ანგარიშწორების პირობები:

3.1.1 სატენდერო წინადადების ფასი:

3.1.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.1.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

შენიშვნა: ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტით სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მომწოდებელმა 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

3.2 ანგარიშწორების პირობები:

3.2.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

3.2.2 ანგარიშწორება მოხდება 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, წარმოდგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოთხოვნიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2.3 შემსყიდველთან შეთანხმებით და შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი /საავანსო/ ანგარიშწორება, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას.

3.3 შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

3.3.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადაა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2(ორი) წელი.

3.3.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის(ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია სამუშაოს უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

3.4 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი:

3.4.1 სამუშაოთა მიღება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

3.4.2 მიმწოდებელი სამუშაოებს აბარებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფს.

3.4.3 სამუშაოთა საბოლოო მიღება ხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლის წარმოდგენასაც უზრუნველყოფს მიმწოდებელი სამუშაოების ფაქტიური დამთავრებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4.4 საინჟინრო ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანიზაციის შერჩევა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით.

3.5 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.5.1 რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით.

3.5.2 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი №2-ის შესაბამისად.

3.5.3 ხარჯთაღრიცხვა დანართი №3-ის მიხედვით.

3.5.4 შემსყიდველის/დამკვეთის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.2 სუბკონტრაქტორის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემსყიდველთან შეთანხმებით.

4.3 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

4.4 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ლაგოდეხი, 26 მასის ქ. №25. საკონტაქტო პირი: ვალერიან კვიციანიძე, ტელ: +995 599 44 56 75.

5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, 2017 წლის -----, ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის კარლო ჯამბურიასა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამართულ SPA ----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩის №44-ში მდებარე შენობის(ყოფილი №2 სკოლა) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2 პროექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV45261910.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- // ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ სამუშაოს ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5. სამუშაოს გაწევის პირობები და ვადები

5.1 სამუშაოს გაწევა განხორციელდება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2 სამუშაოს განხორციელების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

6. სტანდარტები და ხარისხი

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (შესრულებული სამუშაოების შესახებ).

7.3 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის წარმოდგენასაც საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, სამუშაოების ფაქტიური დამთავრებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.4 საინჟინრო ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანიზაციის შერჩევა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით.

7.5 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ;

8.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

8.2.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2. უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებით დანახარჯების გაწვევის გარეშე;

8.3.4. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე;

8.3.5. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში უნაღლო ანგარიშსწორებით.

9.2 შემსყიდველთან შეთანხმებით და შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი /სააგანსო/ ანგარიშსწორება, სახელშეკრულებო

ღირებულების 30%-ის ოდენობით.

9.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება „მიმწოდებელი“-ს მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას ორი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, გარდა მექანიკური დაზიანებისა.

12.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაატარებებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქციის სახით „შემსყიდველის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ დღეზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაცოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

19. შეტყობინებები

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს -----.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი - მიმწოდებელთან.

22.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. დანართი №1

რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა

პრეტენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ სატენდერო წინადადების ფასი:

/პრეტენდენტის დასახელება/

დირექტორი:

/ხელმოწერა/

7. დანართი №2

ინფორმაცია პროტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
...				
ჯამი (2014 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2015 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2016 წელი)				
სულ ჯამი				

პროტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ქ. ლავოდებში ზაქათლის ქუჩის N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 სკოლა) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა		ერთ. ფასი	სულ
			ნორმა-ტივის ერთ-ზე	სულ		
1	3	4	5	6	7	8
1	მოიხსნას დაზიანებული აზბ. ცემენტის ტაღლოვანი ფურცლები (70.0*10.0)*1.09 და დასაწყობდეს ეზოს ტერიტორიაზე	მ2		763,00		
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	0,19	144,97		
	სხვა მანქანები	ლარი	0,02	15,26		
	სულ					
2	მოიხსნას დაზიანებული ხის ლარტყა (70.0*10.0)	მ2		700,00		
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	0,17	119,00		
	სულ					
3	მოიხსნას დაზიანებული ხის ნივნივები და დგარები (70.0*10.0)	მ2		700,00		
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	0,336	235,20		
	სხვა მანქანები	ლარი	0,104	72,80		
	სულ					
4	სახურავზე დაზიანებული ხის კარკასის ნივნივების შეცვლა ახალი არსებული ხე მასალით, მეორადი ვარგისი მასალის ნაწილობრივი გამოყენებით	მ3		11,76		
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	18,5	217,56		
	დახერხილი ხე-მასალა (არსებული) კ=1.02	მ3		12,00		0,00
	ლურსმანი	კბ	1,1	12,94		
	სამაგრები	კბ	7,2	84,67		
	სხვა მასალები	ლარი	3,44	40,45		
	სულ					
5	მოეწეოს მოლარტყვა ახალი ხე მასალით და სახურავი თუნუქის პროფილირებული ფურცლებით	მ2		763,00		
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	1,33	1014,79		

	დახერხილი ხე-მასალა 0.3 მმ	მ3	0,019	14,50		
	ღურსმანი	კბ	0,08	61,04		
	პროფნასტილი (არსებულის)	მ2		409,20		0,00
	პროფნასტილი (0.5 მმ)	მ2		332,00		
	თუნუქი მოთუთიებული 0.5 მმ (პერიმეტრზე ე.წ "რუსული ღარი", კეხი) (კ=1.01) (არსებულის)	მ2		44,00		0,00
	თუნუქი მოთუთიებული 0.5 მმ (პერიმეტრზე ე.წ "რუსული ღარი", კეხი) (კ=1.01)	მ2		226,00		
	სტკვალი (შურუფი)	კბ	0,2	152,60		
	სილიკონი	ც		4,00		
	"ბალგარკის" დისკი	ც	0,04	30,52		
	სხვა მასალები	მ6	0,059	45,02		
	სულ					
6	მოეწვოს საწვიმარ მიღებზე დამატება (ე.წ უოლობები)	გრძ.მ		24,00		
	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0,37	8,88		
	თუნუქი მოთუთიებული 0.5 მმ	მ2		10,00		
	მილის დამჭერი	ც		24,00		
	სულ					
7	ა/ამწის მომსახურება მასალების სახურავზე მისაწოდებლად და ჩამოსატანად	მანქ/სთ		16,00		
	სულ					
	სულ					
	მასალების ტრანსპორტირება 5 %					
	სულ					
	ზედნადები ხარჯები 10%					
	სულ					
	გეგმიური დაგროვება 8%					
	სულ					
	გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%					
	სულ					
	დღგ 18%					
	სულ					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.